



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვენუოლისი

ვენუოლისი (Vienuolis) (ნამდვ. გვარი – ჟ უ კ ა უ ს კ ა ს ი – Zukauskas) ანტანას [26. III(7. IV). 1882, სოფ. უჟუოჟერიანი, ლიტვა, – 17. VIII. 1957, იქვე], ლიტველი მწერალი. ლიტვის ხელოვნების დამს. მოღვაწე (1947), ლიტვის სახ. მწერალი (1957). 1903–07 ცხოვრობდა თბილისში, ოტენის აფთიაქში მუშაობდა პროვიზორად. 1905 რევ. მოძრაობაში მონაწილეობისთვის ჩასვეს მეტეხის ციხეში, სადაც დაწერა ნარკვევი „ციხეში“. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო თბილისში, საქართველოშია შთაგონებული მისი „კავკასიური ლეგენდები“ (1905–06, ქართ. თარგმანი 1963). 1946 ვ. მეორედ ჩამოვიდა საქართველოში. შთაბეჭდილებები ასახა წიგნში „კავკასია“. მეგობრობდა ქართვე. მწერლებთან: გ. ტაბიძესა და გ. ლეონიძესთან, ი. აბაშიძესთან, გ. აბაშიძესა და კ. ლორთქიფანიძესთან, ა. ქუთათელთან, კ. კალაძესა და სხვებთან. 1957 გამოაქვეყნა „ჩემი მოგონებები“ და „გადმოცემები და ლეგენდები“.

ი. ბოგომოლოვი
